საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2017 წლის 15 აგვისტო № 186

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკუთრებაში არსებული სასადილო ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკუთრებაში არსებული სასადილო ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე.
2. კონკურსი ჩატარდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართულ განცხადებაში მითითებული საკონკურსო მოთხოვნებისა და პირობების მიხედვით (იხ. დანართი).
3. განცხადება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკუთრებაში არსებული სასადილო ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე განთავსდეს „სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ვებ-გვერდზე.
4. დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   - ნოდარ ჭიჭინაძე - ფინანსების და ადმინისტრაციის დირექტორი - კომისიის თავმჯდომარე;
   - გიორგი გვიმრაძე - ახალი და მიმდინარე ამბების დირექტორი - კომისიის წევრი;
   - თინათინ ბერძენიშვილი - მედიისა და კომუნიკაციის დირექტორი - კომიის წევრი;
   - პაატა ქურდაძე - მედია წარმოების დირექტორი - კომისიის წევრი;
   - თეონა მაზმიშვილი - წარმოების და ტექნიკური უზრუნველყოფის დირექტორი - კომისიის წევრი;
   - თეონა ენუქიძე - ადმინისტრაციის უფროსი - კომისიის წევრი;
   - თამარ მაჩიტიძე - ადმინისტრაციის სპეციალისტი - კომისიის წევრი;
   - ელენე მიხაილოვა - იურიდიული სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.
5. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
დროებით შემსრულებელი ნოდარ ჭიჭინაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის"
გენერალური დირექტორის
2017 წლის 15 აგვისტოს №186 ბრძანების დანართი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს კონკურსს მის საკუთრებაში არსებული სასადილო ფართის იჯარის ფორმით გაცემის მიზნით.

1. იჯარით გასაცემი უძრავი ქონების მახასიათებლები:
უძრავი ქონების მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68
ფართი: 217 კვ/მ ფართი (ს/კ 01.14.14.009.052).
სახეობა: არასაცხოვრებელი, საზოგადოებრივი კვების ობიექტი.
მიზნობრიობა: სასადილოს ორგანიზება.
საიჯარო ქირის მინიმალური ოდენობა შეადგენს: თვეში 542,5 (ხუთასორმოცდაორი ლარი და 50 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით. ამასთან, 1 (ერთი) კვ/მ ფართის საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს 2,5 (ორი ლარი და 50 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
ობიექტის აღჭურვილობა: ფართი საჭიროებს შესაბამისი ინვენტარით: ელექტრო ქურებით, მაცივრებით და ა.შ. აღჭურვას.
საიჯარო ვადა: ხელშეკრულებით განსაზღვრული თარიღიდან - 2 (ორი) წელი; (ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია ვადის გაგრძელება).
საკონკურსო პირობები: საიჯარო ფართზე საზოგადოებრივი კვების ობიექტის ორგანიზება.

2. საკონკურსო წინადადებების წარდგენის ვადები:
- საკონკურსო განაცხადის და საკვალიფიკაციო მონაცემების მიღება იწარმოებს 2017 წლის 17 აგვისტოს 10:00 საათიდან - 2017 წლის 30 აგვისტოს 18:00 საათამდე, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68 სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" კანცელარიაში, საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, დალუქულ კონვერტში. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები არ მიიღება;
- საკონკურსო განაცხადების გახსნა და გამარჯვებულის გამოვლენა განხორციელდება 2017 წლის 31 აგვისტოს.

3. საკონკურსო წინადადებები სავალდებულოდ უნდა შეიცავდეს:
1. ინფორმაციას კონკურსში მონაწილე ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ და სარეკომენდაციო წერილ(-ებ)ს ბოლო 2 წლის განმავლობაში ანალოგიური საქმიანობის (საზოგადოებრივი კვების ობიექტის ორგანიზება) განხორციელების თაობაზე;
2. კონკურსში მონაწილე ორგანიზაციის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
3. პროდუქციის ჩამონათვალს (ულუფების მითითებით) და ფასებს (მენიუს) *კვების მენიუ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე ელექტრონული ვერსიით Excel, Power Point Presentation ან pdf ფაილში. ელ.ფოსტის მისამართზე:* t.enukidze@gpb.ge;
4. დამატებით შემოთავაზებებს.

საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე პირთა განცხადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
1. მენიუს მრავალფეროვნება და პროდუქციის ფასები (უპირატესობა მიენიჭება მენიუს მრავალფეროვნებას და დაბალ ფასებს)
2. კონკურსანტის გამოცდილება
3. დამატებითი შემოთავაზებები

4. კონკურსში მონაწილის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:
იურიდიული პირებისათვის:
ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;
გ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;
ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს:

- არაუგვიანეს 2017 წლის 15 სექტემბრიდან საზოგადოებრივი კვების ობიექტის მუშაობა: სამუშაო დღეებში: 09:30 საათიდან – 20:00 საათამდე, არასამუშაო დღეებში 11:00 საათიდან - 16:00 საათამდე (საჭიროების შემთხვევაში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ 1 დღით ადრე შეატყობინებს კონკურსში გამარჯვებულს სამუშაო საათების ცვლილებასთან დაკავშირებით);
- საზოგადოებრივი კვების ობიექტის ყოველდღიური მუშაობა;
- არ გაზარდოს საკონკურსო განაცხადში მითითებული პროდუქციის ფასები და არ შეამციროს წარმოდგენილი მენიუ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თანხმობის გარეშე;
- საზოგადოებრივ კვების ობიექტში მომსახურეობის მაღალი ხარისხი;
- კვების ობიექტის დამატებით საჭირო ინვენტარით აღჭურვა და საიჯარო პერიოდში საჭიროებიდან გამომდინარე შევსება;
- პროდუქციის ჩამონათვალის (ულუფების მითითებით) და ფასების (მენიუ) განთავსება კვების ობიექტზე თვალსაჩინო ადგილას;
- მომსახურე პერსონალის სპეც-ტანსაცმლით უზრუნველყოფა (ქუდები, წინსაფრები, მზარეულებისთვის შესაბამისი ფეხსაცმელი-ბახილები, ერთჯერადი ხელთათმანები);
- გამწოვი სისტემის გამართვა სამზარეულოსა და დარბაზში;
- გათბობა-გაგრილების უზრუნველყოფა დარბაზში;
- ინტერიერის განახლება, მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს საიჯარო პერიოდში მოხმარებული ელ. ენერგიის, წყლის და სხვა კომუნალური გადასახადის გადახდა.

ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

შენიშვნა: კონკურსში მონაწილეებმა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ საკონკურსო განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით დალუქული კონვერტით.